



იმისთანა წმინდა საღმრთო, ბოგბილ ბუქ-
უბი სიფყვას, ცუდილუბით და ჭბრბით ბუბ-
თის გაფანა ყულა უჯარბისბბაჟ უსბბაგლსია.

გაგოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რეპსპუბლიკა

პარასკევი, 7 ივნისი. 2019 წ. №114 (8780)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 60 თათრი

კიდევ ერთი ტრაგედია



ყაზბეგში ჩამოვარდნილი ვერტმფრენი BELL-505 ტიპის, ამერიკულ-კანადური წარმოების იყო. სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ცნობით, ვერტმფრენს გავლილი ჰქონდა ყველანაირი ტექნიკური შემოწმება და მართავდა ძალიან გამოცდილი პილოტი.

ავიაციისა და საზღვაო ტრანსპორტის სფეროებში მომხდარი სატრანსპორტო შემთხვევებისა და ინციდენტების მოკვლევის ბიუროს ხელმძღვანელი დავით გიუნაშვილი.

გუშინ დაბა სტეფანწმინდაში მდებარე სასტუმროს, „რუმს პოტელ ყაზბეგის“ კუთვნილი ვერტმფრენი ე.წ. ყანობის ტერიტორიაზე, დაუსახლებელ ადგილზე ჩამოვარდა, დაიღუპა სამი ადამიანი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ კერძო ვერტმფრენის ჩამოვარდნასთან დაკავშირებით გამოძიება სსკ-ის 275-ე მუხლის მე-6 ნაწილით დაიწყო.

ვერტმფრენმა, რომელიც ყაზბეგში, დაბა სტეფანწმინდაში ჩამოვარდა, ტექნიკური შემოწმება 22 მაისს გაიარა, - ამის შესახებ საქართველოს პირველ არხს სატელეფონო საუბრისას „აჭარა ჯგუფის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ვალერ ჩეხერიამ განუცხადა.

„სამწუხაროდ, გარდაცვლილი ჩვენი სამი თანამშრომელი, პილოტი და ორი თანამშრომელი. როგორც მე მაქვს ინფორმაცია, ვერტმფრენი ყაზბეგიდან აფრინდა და აფრენიდან მალევე ჩამოვარდა. ტექნიკური პრობლემები ვერტმფრენს არ ჰქონია, ტექნიკურად გამართული იყო და 22 მაისს გავლილი ჰქონდა შემოწმება, შემოწმებას პერიოდულად გადიოდა. ვთანამშრომლობთ გამოძიებასთან. ჩვენთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია, სწრაფად დადგინდეს, რა და როგორ მოხდა, - განაცხადა ვალერ ჩეხერიამ.

„სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ კუთვნილ ქსელზე საფრენი აპარატის შეხება გამოირიცხა, - ამის შესახებ კომპანიის განცხადებაშია ნათქვამი.

„სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ გამანაწილებელ ქსელში, გულაური ყაზბეგის მიმართულელებით, ავარიული გათიშვა არ მომხდარა. აღნიშნულ ქსელში ელექტროენერჯის მიწოდება შეუფერხებლად მიმდინარეობს და შესაბამისად, კომპანიის კუთვნილ ქსელზე საფრენი აპარატის შეხება გამოირიცხა.

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ მწუხარებას გამოთქვამს ყაზბეგში მომხდარი უბედური შემთხვევის გამო“.

ქართველ მიქელ-ანჯელოდ ნოდებულ დიდი მერაბ ბერძენიშვილის უკვდავება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში 10 ივნისს, 12:00 სთ-ზე, გაიმართება მერაბ ბერძენიშვილისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა.

კათოლიკოს-პატრიარქმა ფარქილდელ ქართველებს უმასპინძლა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა და საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი) ფერეიდნელი ქართველები მიიღეს. საქართველოს საპატრიარქოს ინფორმაციით შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები. „მისმა უწმინდესობამ დალოცა ფერეიდნელი ქართველები და იმედი გამოთქვა, რომ ფერეიდნის მცხოვრებნი უფრო მეტად გაძლიერდებიან რწმენაში და განამტკიცებენ ფესვებთან კავშირს. ფერეიდნელმა ქართველებმა მის უწმინდესობას მზრუნველობისთვის მადლობა გადაუხადეს და ფოლკლორული სიმღერები შეასრულეს. აღსანიშნავია, რომ ეს შეხვედრა XVII-XVIII საუკუნეებში ფერეიდნის ქრისტეს სარწმუნოებისთვის მოწყვეტილთა სხენების დღეს შედგა“, - ნათქვამია საქართველოს საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.



წმინდა ნინოს სახელობის ახალი ტაძრის გაღება და მონაწილეობა!

ბოლბოში, წმინდა ნინოს სახელობის ახალ ტაძარში პირველ წირვას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ჩაატარებს. ამის შესახებ საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა, მეუფე შიომ სამების საკათედრო ტაძარში განაცხადა, სადაც ამალღების დღესასწაულთან დაკავშირებით საზეიმო ლიტურგია ჩაატარა. წმინდა ნინოს სახელობის ახლად აშენებული ტაძარი კვირას, 9 ივნისს იკურთხება. მეუფე შიოს ინფორმაციით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ბოლბოში დღეს მიემგზავრება.



ბერისა და ბერის კეთ - ბერიკეთებს!

„ქრისტესმიერი ძეგლი“ ერთმანეთს დაპირივნენ!..

რუსეთის ეკლესიის ბრძოლა ახალი ათონისათვის

ვამრავლოთ საქართველო!

მეუფე შიომ: ჩვენი ნამდვილი სამუოხლო არის სათა სასუფეველი

მეუფე შიომი ამალღების დღესასწაულთან დაკავშირებით საზეიმო ლიტურგია საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხორონყუს მიტროპოლიტმა, მეუფე შიომ, სხალთელ მიტროპოლიტ სპირიდონთან და სამღვდლოებთან ერთად ჩაატარა. მეუფე შიომ მრევლს ქადაგებით მიმართა, დღესასწაული მიულოცა და მის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„გილოცავთ დღევანდელ დღესასწაულს. ეს არის ზეცად ამალღება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. გადმოცემით უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორის დალოცვას. შეგვენით მისი მაღლი და ლოცვა-კურთხევა. საოცარი დღეა, დღეს არის ზეცის დღესასწაული, თუ შეიძლება, ასე ითქვას. ლუკა მახარობელი წერს, რომ იესო ქრისტე 40 დღის განმავლობაში ეცხადებოდა თავის მოსწავლეებს და ყოველდღე ესაუბრებოდა მათ ეკლესიის მოწყობის, ცათა სასუფეველისა და ქრისტიანული საიდუმლოებების შესახებ. და აი, მე-40 დღეს, როდესაც ბოლოჯერ დალოცა ისინი, ესაუბრა, მათ თვალწინ ზეცად ამალღდა. მოციქულებმა ისინი ეს საოცარი რამ, თავყვანი სცეს მას“, – აღნიშნა მეუფე შიომ.

მისივე თქმით, ლუკა მახარობელი წერს, რომ მაცხოვრის ამალღების ხილვის შემდეგ მოციქულები დიდი სიხარულით დაბრუნდნენ იერუსალიმში. „რა სიხარულია ეს. ეს კითხვა ჩნდება. თითქოს ის ყოველდღიური შესება, ურთიერთობა მკვდრებით აღდგომილ ქრისტესთან დასრულდა ამ დღეს მათ მიწვევით ცხოვრებაში და თითქოს, მწუხარება უნდა ყოფილიყო განშორებისგან, მაგრამ ამის ნაცვლად, მათ ჰქონდათ ეს სიხარული. შეიძლება ითქვას, რომ ეს განშორების სიხარული თან გასდევს



მთელ ჩვენს ქრისტიანულ ისტორიას ამ 2 000 წლის განმავლობაში. ეს არის სიხარული იმისი, რომ უფალი ამბობს – მე თქვენთან ვარ ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა და სიხარული იმისი, რომ მათ ისინი ზეცად ამალღებული უფალი, და რომ იესო ქრისტე თავისი ზეცად ამალღებით დაგვიბრუნა ზეციური ცხოვრება, ჩვენი ნამდვილი სამშობლო, ეს არის ჩვენი ცათა სასუფეველი. პავლე მოციქული ამბობს ამის შესახებ, იესო ქრისტეს უწოდებს წინამორბედს.

წინამორბედი არის ის, ვინც გზას კვალავს სხვებისთვის, იესო ქრისტემ გზა გაგვიკვალა ზეცისკენ. თვითონ იესო ქრისტეც ასწავლის თავისი ზეცად ამალღების შესახებ. იგი ამბობს – სავანენი მამისა ჩემისანი მრავალ არიან და მე წარვიდე, განვიზაოდოთ თქვენ ადგილი და კვალად მოვიდე, რომ წაგიყვანოთ ჩემთან, რათა, სადაც მე ვიყო, მუნცა თქვენ იყოთ, ასევე ამბობს „ოდეს ავმალღდე ქვეყნისგან ყველანი მოვიზიდო ჩემთან“, – განაცხადა მეუფე შიომ.

... ახლა დისკუსიის გახსნა აზრს მოკლებულია...



„მართლმად იცნებამ“ ოპოზიციის ორჯერ შესთავაზა 2020 წლიდან პროპორციული სისტემის ამოქმედება, რაზეც უარი თქვეს, ახლა დისკუსიის გახსნა აზრს მოკლებულია, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

„ქართულმა ოცნებამ“ ოპოზიციის ორჯერ შესთავაზა 2020 წლიდან პროპორციული სისტემის ამოქმედება. ერთხელ ეს მოხდა 2016 წელს, როდესაც დავით უსუფაშვილი პარლამენტის თავმჯდომარე და ასევე საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე იყო. მაშინ პოზიციამ ამ შესთავაზებაზე უარი თქვა. მეორედ ეს იყო 2017 წელს, როდესაც უკვე მე-9 ირაკლი კობახიძისა და ასევე საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე. შეეთავაზებოდა 2020 წლისთვის პროპორციული სისტემის ამოქმედება და ოპოზიციამ უარი თქვა. ასეთ დროს ახალი პროცესის დაწყება, რა თქმა უნდა, არის აზრს მოკლებული.

პასუხისმგებლობა უნდა აიღონ იმაზე, რაც გავიარეთ ამ წლების განმავლობაში. მათ დახურეს დისკუსია და ახლა დისკუსიის გახსნა არის აზრს მოკლებული.

კითხვაზე, ახლა რატომ დაიწყეს ოპოზიციის წარმომადგენლებმა ამ საკითხზე საუბარი, ირაკლი კობახიძის განცხადებით, „მათ ბოლო არჩევნებში წააგეს“.


„ნაგებულები არიან. წააგეს ბოლო არჩევნები. ახლა დიდ იმედებს ამყარებენ ამ არჩევნებზე. უნდათ, რომ გააქტივალდონ საკუთარი თავი და ასეთ დროს ბუნებრივია, იწყებენ ახალ პოლიტიკურ პროცესებს, თუმცა ეს ახალი პროცესიც ბუნებრივია, განწირულია მათი წარუმატებლობისთვის“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ოპოზიციის წარმომადგენლები მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას ითხოვენ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის და ასევე ითხოვენ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას, რომელიც ახალი კონსტიტუციის შესაბამისად, 2020 წლის არჩევნების შემდეგ უნდა ამოქმედდეს.


პოლიტიკური სწავლი გვარამია საკუთარი სისრუის ტყვეობაში!

„რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორი ხმარობის ანონსს აკეთებს. ნიკა გვარამია „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე წერს, რომ კვირას, განსხვავებულ აქცენტებში, ბევრს ილაპარაკებს, რატომ აღარ ელაპარაკება ზაზა სარალიძე „რუსთავი-2“-ს.

გვარამიას თქმით, კვირას ისაუბრებენ იმაზეც რომ



მელიც მონსტრს ქმნიდა მთელი წელიწადნახევარი მისგან. რატომ ბომბავს დღეს მხოლოდ პროკურატურას და საერთოდ რატომ გააქრო ნარატივიდან შსს.



„კვირას, განსხვავებულ აქცენტებში, ბევრს ვილაპარაკებ, რატომ აღარ ელაპარაკება ზაზა სარალიძე „რუსთავი-2“-ს. არსს, რომელმაც არათუ გახსნა ეს საქმე, არამედ, საერთოდ, შექმნა სარალიძის საქმის ფენომენი. და რატომ ელაპარაკება იგივე ზაზა სარალიძე „ტვ იმედს“, რომელიც მონსტრს აკეთებდა მთელი წელიწადნახევარი მისგან. რატომ ბომბავს დღეს მხოლოდ პროკურატურას და საერთოდ რატომ გააქრო ნარატივიდან შსს, რომელმაც სინამდვილეში პირველმა გააფუჭა საქმე და მერე გააპრავებია პროკურატურას. ვისი ინსტრუმენტია სარალიძე დღეს და ვის პირდაპირ ინსტრუქციებს ასრულებს, ნებისით თუ უნებლიეთ (ამაშიც გავერკვევით). ვილაპარაკებ მორიდების გარეშე, როგორც მე მჩვენია. უსამართლობისა და დანაშაულის არ ვიცი, მოგესხენებათ, და არანაირ სტატუსს ანგარიშს არ გაგუწვენ, ესეც მოგესხენებათ“, – წერს გვარამია.

სააკაშვილის საკითხი სრულიად უმნიშვნელოა!

„მაღალი თანამდებობის პირების გამოჭერა კორიდორებში, ხელის ჩამორთმევის ფოტოების გადაღება და შემდეგ ამის წარმოჩენა, როგორც მნიშვნელოვანი ორმხრივი შესვენების, ეს ჩვენი ხელწერა არ არის და ძალიან კარგად გვახსოვს, თუ როგორც სხედოდა მსგავსი ქმედებების მიტანა საზოგადოებაში. ჩვენ ძალიან ღიად ვმუშაობთ და არ გვჭირდება არანაირი ფარული შესვენებები არავისთან და ეს შესვენება, რომელიც ბოლო წუთს დაიგეგმა ბრიუსელში, იყო დაგეგმილი ჩვენი მეგობარი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის ელჩის გორდონ სონდლანდის მიერ, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირში ამერიკის შეერთებულ შტატებს და არის საქართველოს დიდი მეგობარი,“ – ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა საქართველოს პრემიერ-მინისტრის მამუკა ბახტაძის ბრიუსელში გამართულ

ლი ვიზიტის თაობაზე ოპოზიციის წარმომადგენლების შეფასებების კომენტარებისას განაცხადა.

მისი თქმით საქართველოს ურთიერთობები დასავლეთთან, მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ისევე როგორც ევროკავშირთან და სხვა პარტნიორ ნევრ ქვეყნებთან უპრეცედენტოა, რისი გამოხატულებაც იყო პრემიერის ვიზიტი ბრიუსელში, სადაც, მინისტრის თქმით, მან მონაწილეობა მიიღო ევროკავშირში აშშ-ის ელჩს გორდონ სონდლანდის მიერ დაგეგმილ ღონისძიებაში, რომელზეც მონაწილე სტუმრებს შორის იყო ევროკავშირის საგარეო საქმეთა უმაღლესი კომისარი ფედერიკა მოგერინი, უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი, რუმინეთის ვიცე-პრემიერი და სხვა უმაღლესი თანამდებობის პირები. მინისტრის

თქმით, ერთი თვით ადრე მიღების დაგეგმვა მიღებული პრაქტიკაა, ამოაოპონენტების მცდელობა, რომ შეცდომაში შეიყვანონ მოსახლეობა. დავით ზალკალიანის განცხადებით საქართველოს ხელისუფლება სტრატეგიულ პარტნიორებთან კომუნიკაციის დროს გაცილებით მნიშვნელოვანი თემებით არის დაკავებული, ვიდრე მიხეილ სააკაშვილია.

„სააკაშვილის თემა არის სრულიად უმნიშვნელო და აბსოლუტურად არ არის საინტერესო. და საზოგადოებამ კარგად დაინახა უკრაინის პრეზიდენტის ზელენსკის გაკეთებული განცხადებიდან, რომ ეს თემა არც ყოფილა განხილული. ჩვენ უფრო მნიშვნელოვანი თემებით ვართ დაკავებული ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთან, თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხებზე ვსაუბრობთ, ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებაზე ვსაუბ-



რობთ, სტრატეგიულ პარტნიორობაზე ვსაუბრობთ, ევროკავშირთან ინტეგრაციაზე ვსაუბრობთ და ეს არის სერიოზული თემები ჩვენს სტრატეგიულ დღის წესრიგში და ჩვენ სწორედ ამ თემებს მივუყვებით“, – განაცხადა დავით ზალკალიანმა.



საპორტო კარის თამაშები

ის იშუ, დასრულდა „სამეფო კარის თამაშების“ რამდენიმეწლიანი საგა, რომ ქართველ საზოგადოებას ახალი ინტრიგა და მძაფრისიუფეტიანი მოვლენა დაატყდა თავს.

ცნობილ ქართველ მწერალს გრიგოლ აბაშიძეს თავის ერთ-ერთ საუკეთესო რომანში „ცოტნე, ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“ ხატოვნად აქვს ნათქვამი, ზღვის პირას მცხოვრები ქართველი ხალხი საუკუნეების მანძილზე თავის ისტორიას ზღვასთან ზურგით მდგარი ქმნიდაო. ამას თავისი ახსნა და გარემოებები აქვს, რაც სულ სხვა საუბრის თემაა.

გლობალიზაციამ, საზღვრების გახსნილობამ, ეკონომიკურმა ურთიერთობებმა მთელი სივრცე-სივრცით დააყენეს საქართველოს საზღვაო აკვატორიის ინტენსიური და ეფექტიანი გამოყენების საკითხი – უკვე არსებული და დროის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ახლის მშენებლობის. ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე საჭიროა სახელმწიფოს ერთიანი ნება, ერთიანი პოლიტიკის გატარება, რადგანაც საქმე ეხება არა მარტო მრავალმილიონიანი პროექტების რეალიზაციას, არამედ ქვეყნის მყარ და სოლიდურ ადგილს მსოფლიო სავაჭრო ურთიერთობებში და ტვირთბრუნვაში. ბუნებრივია, აღნიშნული არაა მხოლოდ სახელმწიფოს ამოცანა. იგი ბიზნესის აქტიურ თანამონაწილეობასაც გულისხმობს. აქ მთავარია, ბიზნესგუფების ინტერესებმა „მძევლად“ არ აიყვანოს სახელმწიფო და არ მოახვიოს მას საკუთარი ვიწრო,

კორპორაციული ინტერესები. ამის საფრთხე კი აშკარად გამოიკვეთა ბოლო დროს ანაკლიისა და ფოთის პორტთან განვითარებულ მოვლენებში.

საჯარო მოხელე, რა თანამდებობაზე უნდა ეკავოს, უნდა ახელირებდეს და მოქმედებდეს სახელმწიფოს გრძელვადიანი, სტრატეგიული ინტერესებით. როდესაც ის ამ თანამდებობაზე პროტექციით, რომელიმე ბიზნესგუფის ლობისტების რეკომენდაციებით ინიშნება, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, როგორც წესი, შეესაბამება მისი ლობისტების ინტერესებს. აღნიშნულ გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას სკანდალურ თემებზე „მონადირე“ გაზეთი „პრაიმ ტაიმი“, რომლითაც ირკვევა, რომ თურმე ეკონომიკის ყოფილი მინისტრის გიორგი ქობულაძის დანიშვნა ფოთის პორტზე ორიენტირებული ბიზნესგუფის ინტერესებში იჯდა.

რეალობას რომ თვალი გავუსწოროთ, **ფოთის პორტის ყველაწილი განვითარება ხელს შეუწყობს, მაქსიმუმ, ამ პორტის არსებობის შენარჩუნებას, მაშინ, როდესაც ანაკლიის პორტის განვითარება ქმნის სტრატეგიულ პლაცდარმს საქართველოს გავლით მსხვილი ტვირთბრუნვის უზრუნველსაყოფად და როგორც ასეთი, მასზე მიბმული მრავალმილიარდიანი ინფრასტრუქტურით და ლოგისტიკით საქართველოს ეკონომიკური პარტნიორებისა და პოლიტიკური მოკავშირეების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღებისა და პროტექციის ობიექტად აქცევს. ამ მხრივ, ანაკლიის პორ-**

ტის მნიშვნელობა საქართველოს დაცულობისა და მდგრადი განვითარებისათვის შეუფასებელია.

თუ რამდენად პასუხობს ყოველივე ეს რუსეთის ინტერესებს, რომლის ნოვოროსიისკის პორტს ანაკლიის პორტის სახით სერიოზული და თანაბარონადი კონკურენტი უნდება შავ ზღვაზე, ამაზე საერთაშორისო ვაჭრობასა და საზღვაო სამართალთან შორს მყოფი ადამიანებისთვისაც კი ნათელი წარმოსადგენია.

ვფიქრობ, რუსეთიდან მოწვეულ და ანაკლიის პორტის კონკურენტ ბიზნესგუფის პროტექციით ხელისუფლებაში მოხვედრილ ეკონომიკის ყოფილ მინისტრს, რბილად რომ ვთქვათ, ანაკლიის პორტის პერსპექტივები გულზე არ დაეხატებოდა და შემდგომი პრაქტიკული ნაბიჯები, რაც „პრაიმ ტაიმის“ ზემოხსენებულ სტატიის დეტალურადაა აღწერილი, ანაკლიის პორტის მშენებლობის მიმართ, ნიჰილისტურ დამოკიდებულებას გამოხატავდა, რეალურად კი პრემიერის ზურგს უკან ფოთის ღრმანწყობიანი პორტის მშენებლობის საკითხის პრაქტიკულ მოგვარებას ახორციელებდა.

ამავე დროს, საქმე ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ანაკლიის პორტზე მომუშავე ბიზნესგუფები, შესაბამისი კონსორციუმი, მხოლოდ პატრიოტული მოტივებით მოქმედებდა და საკუთარ ეკონომიკურ სარგებელზე არ ფიქრობდა. ეს, რა თქმა უნდა, ასე არაა, რამეთუ ამგვარი დამოკიდებულება იმანენტურად არ ჯდება ბიზნესის ქცევის მო-

ტივაციაში. უბრალოდ, სახელმწიფოსა და ანაკლიის კონსორციუმის ინტერესების თემატურ თანხვედრას ჰქონდა (და აქვს) ადგილი.

ეკონომიკის ასლმა მინისტრმა ნათია თურნავამ გააუქმა ფოთში ახალ ღრმანწყობიან ნავსადგურთან დაკავშირებით გაცემული დოკუმენტი. თუმცა მანამდე ფოთის პორტის „ეიპიემ ტერმინალის“ განცხადება იმის თაობაზე, თითქოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ქ. ფოთში ახალი ღრმანწყობიანი, მრავალფუნქციური ნავსადგურის მშენებლობის ნებართვის გაცემით გამოხატულ მხარდაჭერას აქვს ადგილი, ანაკლიის კონსორციუმის ნერვული რეაქცია მოჰყვა და თავისი საქმიანობისთვის ხელისუფლების მხრიდან მორიგ ხელშეშლელ გარემოებად დასახელდა.

ფრანგ მჭევრმეტყველსა და მემუარისტს ლაროშეუსს აქვს მატყობა, რომლითაც, თუ რაინდის ახლობელი ორი ბანოვანი, მისგან დამოუკიდებელი მიზეზითაც კი ერთმანეთს გაეუბნებოდა, ეს საფრთხეს უქმნის რაინდს, რამეთუ მან შეიძლება ამ ბანოვანთაგან სულ ცოტა ერთ-ერთის კეთილგანწყობა დაკარგოს.

არც „ეიპიემ ტერმინალი“ და არც ანაკლიის კონსორციუმი ის „ბანოვნები“ არ არიან, რომ სახელმწიფომ მათ სუბიექტური დამოკიდებულებით, თუნდაც ეკონომიკის მინისტრის დონეზე, მოახდინოს მათთვის სასურველი ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც არ უპასუხებს საქვეყნო ინტერესებს. მათი რეაქცია, თითქმის სინქრონში გაკეთებული განცხადებები ბაგირის საკუთარ მხარეს გადაქაჩვის სურვილზე არანაკლებად ატარებენ აგრეთვე „თემატური სოლიდარობის“ ნიშანსაც. მაგრამ მათ არ უნდა დაავიწყდეთ, რომ ნებისმიერი პროექტის კონტრაქტორები შეიძლება, „მოვიდნენ“ და „წავიდნენ“, ისევე როგორც ნებისმიერი პირი – მინისტრის თანამდებობაზე. სახელმწიფო გრძელვადიანი ინტერესები კი რჩება და თანდათან ხორცს ისხამს...

იოსებ არჩვაძე, 5 ივნისი 2019.



დაზარალებული უკრაინისთვის USAID 1 მლნ დოლარს გაიყოფს

ბარამოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, USAID-ის პროექტს „ზრდა საქართველოში“ და შიდა ქართლის რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა.

მემორანდუმს ხელი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა, USAID-ის პროექტის „ზრდა საქართველოში“ ხელმძღვანელმა ბრაიან კინგმა და შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი ხოჯევანიშვილმა მოაწერეს.

მემორანდუმის ფარგლებში, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების მოსახლეობა, რომელიც სეტყვის შედეგად დაზარალდა, დახმარებას მიიღებს.

„მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ამერიკის მთავრობას მყისიერი თანადგომისთვის. ჩვენ მრავალწლიანი წარმატებული თანამშრომლობა გვაკავშირებს. შიდა ქართლში ძლიერი სეტყვის შედეგად საგანგებო ვითარება შეიქმნა. მოსახლეობის უდიდეს ნაწილს მოსავალი სრულად გაუნადგურდა. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის მხარდაჭერა ჩვენთვის ნომერ პირველი პრიორიტეტია. ჩვენ მივიღეთ მხარდაჭერა აშშ-ის მთავრობის მხრიდან; საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის „ზრდა“ ფარგლებში, გორისა და ქარელის მოსახლეობა ფინანსურ დახმარებას მიიღებს საარსებო წყაროს უზრუნველსაყოფად. მათ საშუალება მიეცემა, განაახლონ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა. ეს არის ქართული და ამერიკული მხარეების მიერ შექმნილი სწრაფი რეაგირების პროექტი, რომლითაც ჩვენს ხალხს მიზნობრივ დახმარებას გავუწევთ“, – განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა.

მაგთი MAGTI

იუხივრე მაგთის ინტერნეტსამყაროში მთელი ზაფხული

მაგთი 2


ოპტიკური ინტერნეტის სიჩქარე

დარეკეთ ნომერზე 0800100202 და ყოველგვარი დამატებითი გადასახადის გარეშე მიიღეთ სარეკლამო მაგთისგან: ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის გაორმაგებული სიჩქარე.

მაქსიმალური გაორმაგებული სიჩქარე 100 მბ/წმ-მდე.

პეტილი სხივი

ქართულ მიქელანჯელოდ წოდებული დიდი მერაბ ბერძენიშვილის უკვდავება



მსოფლიო მნიშვნელობის უდიდეს მოქანდაკეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო წევრს, ბატონ მერაბ ბერძენიშვილს 2019 წლის 10 ივნისს 90 წელი შეუსრულდებოდა.

სამოიდე წლის წინათ 87 წლისა გარდაიცვალა დიდი ხელოვანი-მამულიშვილი და ბრწყინვალე პიროვნება.

მერაბ ბერძენიშვილი იყო მსოფლიოში ცნობილი მოქანდაკე, ფერმწერი და გრაფიკოსი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, საქართველოს სახალხო მხატვარი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, რუსეთის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სამხატვრო აკადემიის პროფესორი.

მონუმენტური, გრაფიკული თუ ფერწერული ნამუშევრებით მერაბ ბერძენიშვილმა ხელოვნების ისტორიაში საკუთარი ხელწერა შექმნა. მისი შექმნილია დავით აღმაშენებლის და დავით გურამიშვილის ქანდაკებები, ზაქარია ფალიაშვილის, დოდო აბაშიძის, სანდრო ანსელტელის, ტიცოან ტაბიძის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველასა და ქეთევან წამებულის ძეგლები. მერაბ ბერძენიშვილს ეკუთვნის ყველასათვის ცნობილი „მუზა“ ფილარმონიის წინ. ბავშვთა პარკში შექმნა ნოდარ დუმბაძის მემორიალი, მწერლის პორტრეტი და პერსონაჟები რომანიდან „მე ბებია, ილიკო და ილარიონი“.

დიდგორის ბრძოლის ადგილას განხორციელდა სკულპტურულ-არქიტექტურული კომპლექსი, მოსკოვში აღიმართა მერაბ ბერძენიშვილის მიერ შექმნილი შოთა რუსთაველის ძეგლი. კასპში – გიორგი სააკაძის ცხენოსანი ფიგურა, ასლი კი დაიდგა თბილისში, ბიჭვინთაში დაიდგა ქანდაკება „მედეა“, სოჭში – „ადამი და ევა“, მარნეულში აღიმართა

კომპოზიცია „კიდევაც დაიზრდებიან“, გურჯაანში დაიდგა მემორიალური კომპლექსი „ჯარისკაცის მამა“, ქუთაისში – თქვენი გამარჯვების მემორიალი. მიხიგანის ქალაქ ტრავერსიტიში დაიდგა კომპოზიცია „საქართველო“, ავსტრიაში ჰერმან კმაინერის ქანდაკება, ლათვის მეფის სისაჰან ვონგის ძეგლი აღიმართა ვენტიანში, ხოლო ძეგლის ასლი – ქალაქ პრაბანგში.

მერაბ ბერძენიშვილის გამოფენები მოწყობილია საქართველოსა და საფრანგეთში, რუსეთსა და ჩეხეთში, გერმანიასა და პოლონეთში, ბულგარეთში, ამერიკაში. ბატონი მერაბი სამი უმაღლესი სახელმწიფო პრემიის ლაურეატია, მიენიჭა ნობელის პრემიის ლაურეატის მედალი, დაჯილდოებულია რუსეთის სამხატვრო აკადემიის მედლით „ღირსეულს“, ღირსების დიპლომით და ვერცხლის მედლით ოცდაშვიდწევრე საუკუნის ჯილდო მიღწევებისათვის ქანდაკების სფეროში, გადაეცა საქართველოს მხატვართა კავშირის პრიზი „ოქროს ლომი“. იგი ასევე საქართველოს ეკლესიის წმინდა გიორგის ოქროს ორდენის მფლობელია. მერაბ ბერძენიშვილი თბილისის საპატიო მოქალაქეა.

...განსაკუთრებით მძიმე გამოდგა ბატონი მერაბის გარდაცვალება ჩვენთვის, საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდენტისა და თანამშრომლებისთვის, იგი ხომ სიცოცხლის ბოლომდე, ოცი წლის განმავლობაში იყო ამ ფონდის თავმჯდომარე და სულისჩამდგმელი. კულტურის ფონდი ახორციელებდა როგორც საქველმოქმედო, ისე აღმშენებლობით საქმიანობას. მისი უშუალო ინიციატივით და ხელმძღვანელობით აშენდა კულტურის საერთაშორისო ცენტრი „მუზა“, რათა ის გამხდარიყო საქართველოში კულტურული ღონისძიებების ჩატარების ფლაგმანი, მისი მეშვეობით აღსრულე-

ბულიყო ქართული კულტურის მდიდარი ტრადიციების უცხოელებისთვის გაცნობა და შეყვარება. ბატონი მერაბის დიდი ძალისხმევით 2016 წლის გარდობისთვის ჩატარდა მოქანდაკეთა საერთაშორისო სიმპოზიუმი „ქანდაკების არსი თანამედროვე სამყაროში“, სადაც მოწვეული იყვნენ 14 ქვეყნის მხატვრები და მოქანდაკეები. ისინი გაეცნენ ამ მიმართულებით საქართველოს მიღწევებს, განსაკუთრებით აღფრთოვანდნენ ბატონი მერაბის შემოქმედების სიდიდით და მრავალფეროვნებით. სწორედ მაშინ შეარქვეს უცხოელმა მეგობრებმა მერაბ ბერძენიშვილს ქართველი მიქელანჯელო, და ამ ჭეშმარიტი შეფასებით იცნობენ დღეს მას მოელ მსოფლიოში.

ბატონი მერაბის ხანით საქართველომ დაკარგა, არა მარტო როგორც უდიდესი ხელოვანი, არამედ როგორც უადრესად კეთილშობილი, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული და მის მომავალზე ფიქრით დამაშვრალი ადამიანი. მისი სახელი სამარადისოდ შესულია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა ჩვენს ღირსეულ მამულიშვილთა გვერდით.

საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე აკადემიკოსი **თამაზ შილაგაძე**



მედეა



ჯარისკაცის მამა



დავით გურამიშვილი



შოთა რუსთაველი

ვაზირაველი საქართველო!



რამი მზავანძე
სისხლით კმანო და ღანო,
რამი რქაძე და სიძეძე,
გულით გილოცავთ ამაღლებას
დღესასწაულს!

მიუხედავად იმისა, რომ ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა მის აღმატებულება ქართველ ერთან ერთად მოგილოცეთ 8 მაისს გაზეთ „საერთო გაზეთის“ („ქართველი ერის გზა ქრისტეს გზაა – გზა ჯვარცმისა და გარდუვალი აღდგომისა“; №16, 8 მაისი, 2019 წ.) და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ („გავფრთხილდეთ საქართველოს სიცოცხლეზე მეტად“, №92-93, 11-12 მაისი, 2019 წ.) მეშვეობით, კვლავაც გვსურს გულწრფელად გამოვხატოთ ის დიდი მოკრძალება და სიყვარული, რომელიც გაგვანია ჩვენი მრავალათასიანი გვარის მიმართ. გვინდა, თითოეულ ბერიძეს ვუსურვოთ მშვიდობა, ჯანმრთელობა, უფლის დიდი რწმენა და სიყვარული, ლოცვით გაძლიერება და უფლისადმი გულმხურვალე მსახურება.

ქვეყნის და უფლის მსახურება ჩვენი გვარის კულტურა და თანდაყოლილი თვისებაა.


ჩვენს გვარს გვსურს, ვუსურვოთ დღეგრძელობა (უკვდავება) და გამრავლება, რათა მუდამ ყველაზე მრავალრიცხოვანი და სანაქებო იყოს ჩვენს სამშობლოში. განსაკუთრებით გვინდა, ვუსურვოთ სულიერი, ზნეობრივი და მორალური ამაღლება სამშობლოს საკეთილდღეოდ.

უფალი – იესო ქრისტე ადამიანთა ცოდვების გამო

ბერიძეებო! ქვეყანა უნდა გადარჩეს, ერი კი – გამრავლდეს! სისტემატურად, ნიადაგ დავანთოთ სანთლები ეკლესიებსა და ჩვენს სახლებში; სათლის ციმციმი ხომ წყვიდადის შემანგრეველი ძალაა, ნაღვენი კი – ჩვენი ცრემლი, მოდენილი ქრისტეს ჯვარცმისათვის.

მოვეფეროთ, პატივი მივაგოთ და თაყვანი ვცეთ ბერიძეთა გვარის ყველა მქონეს, ჩვენი ჯიშის მოდგმას!!! განსაკუთრებულ პატივი მივაგოთ ბაგრატიონთა გვარს, მის სიდიადეს. ამ გვარმა ათასი წლის მანძილზე ღირსეულად ატარა ეროვნული ტვირთი, გაიღო უდიდესი მსხვერპლი, განიცადა დიდი ტანჯვა და წამება, ბევრმა მეფემ და უფლისწულმა თავი დადო სამშობლოს სამსხვერპლოზე. მარადუამს მოვიხსენიოთ ერისთავები, ხერხეულიძეები, მაჩაბლები, ჩოლოყაშვილები, მხეიძეები, ბერიძეები, რომლებმაც სამკვედრო-სასიცოცხლო ბრძოლებში ქვეყნის გადარჩენას თითოეულმა ოჯახმა რამდენიმე შვილი შესწირა. დიდება მათ!

განვლილი წელი აღდგომიდან (2018 წ.) აღდგომამდე (2019 წ.) მეტად მნიშვნელოვანი და სასიხარულო იყო ჩვენი გვარისთვის. 2018 წლის 23 ივნისს სრულიად საქართველოს წმინდა სინოდმა წმინდანად შერაცხა დიაკვანი სვეტიცხოველ ბერიძე – აჭარელი აღმსარებელი; ამავე დღეს დაბა მანსუცეთში გაიხსნა მემორიალი „სამშობლოს სადარაჯოზე“, რომელიც მიეძღვნა სამშობლოსთვის გამრულად დაღუპულ თეარ ბერიძეს. იგი აშშ-ის მოქალაქის პროექტითა და ქართველი არქიტექტორების მეშვეობით იქნა ფრთაშესმული; აიგო სერავიძე საროველის სახელობის შესანიშნავი ტაძარი,



ბერისა და ერის ქეთ - ბერიძეებს!

ენამა, აღსდგა და ამაღლდა! უფალი უკვე ჩვენთანაა, წმინდა სამებას კიდევ უფრო ფართოდ გავუხსნათ გულისკარი და მივიღოთ ახალი, დიდი სიყვარულით, რათა დარჩეს სამუდამოდ ჩვენში, ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებში, ჩვენს შთამომავლობასა და ქართველ ერში.

დარჩეს, რათა გვინყალობოს მეტი სიცოცხლე, სიკეთე, სიხარული, სათნოება.

ტრადიციულად და ისტორიულად ჩვენი გვარი პატივს მიაგებდა ჩვენს სარწმუნოებას, ჩვენს მინა-წყალს, ბერიძეთა ადგილის დედას, ღვთის კურთხეულ და ღვთისმშობლის რჩეულ ერს. ამიტომაც ვართ ბერისა და ერის ძენი, მრავალნი, სახელოვანნი, ქველნი, მდაბალნი, უფლის მადიდებელნი.

გვსურს, მოვიწოდოთ ბერიძეებს, რომ უფრო მეტად ვიყოთ მორწმუნენი, მიმტყვებელნი, ნებისმიერი ქართველის ყველა გადაცდომას დინჯად და მიმტყვებლობით ვუპასუხოთ, დაუწნოთ სასწაულები ჩვენს წინაპრებს, ვილოცოთ ჩვენი შვილებისა და შთამომავლობისათვის, ერისა და სამშობლოსათვის! უკუყვავდეთ მრისხანება და ამპარტავნობა, მეტყველებიდან ამოვიღოთ ბილნი სიტყვები, ლანძღვა-გინება – ღვთისმშობლის რჩეულ ერს და ჩვენს გვარს ეს არ ეკადრება!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II თავის სააღდგომო ეპისტოლეში ბრძანებს: „**დღეს, როდესაც მსოფლიოში ათეისტური ტალღა გაძლიერდა და მისი გავლენა ჩვენს ქვეყანაშიც იგრძნობა, თვალნათელი გახდა, როგორ დეგრადირდება ადამიანი უფლის გარეშე, როგორ ადვილად გადაგვარებადია იგი, როგორი უგუნური და თვითგანადგურებისაკენ მიდრეკილი ხდება ის...**“ ამდენად, დღეს საქართველოს და ქართველ ერს მხოლოდ ჩვენი ლოცვა უფლისადმი და უფლის წყალობა გადაარჩენს.

მხოლოდ ერთ წელიწადში საქართველოში 2 000 ბერიძე დაიბადა

რომელიც თავისი არქიტექტურული სტილით ეფუძნება ძველ მართლმადიდებლურ ტაძართა ბრწყინვალეობას; გამოიცა 5 ვაპიტალური წიგნი ბერიძეების ცალკეული შტოების ხაზით; ერთ-ერთ საჯარო სკოლას მიენიჭა ლევან ბერიძის სახელი; ერთ მუნიციპალიტეტში მერად არჩეულ იქნა ვახტანგ ბერიძე; ორმა ბერიძემ დაიცვა სამეცნიერო ხარისხი; ბატონი აკაკი ბერიძე, როგორც ღვანლმოსილი ქირურგი (ჩატარებული 20.000 ოპერაციის ავტორი და აჭარის ა/რ ყოფილი ჯანდაცვის მინისტრი) წარდგენილ იქნა დავით აღმაშენებლის ორდენზე, 30-მა ბერიძემ მოვილოცეთ სვეტიცხოვლის შესასვლელში მდებარე ბერიძე ფოფოდიასა და ვარძიაში დაკრძალული ბერიძის საფლავები; ხოლო ბერიძეების მფარველმა ათენის ღვთისმშობლის ხატმა მოილოცა ალავერდის ტაძარი...

ვფიქრობთ, ეს მხოლოდ დასაწყისია და ჩვენი სამშობლოსადმი ერთგული სიყვარულის, რწმენისა და შრომის ფონზე, კვლავაც უნდა ვასახელოთ გვარი და ერი. ღვთისმშობელმა დალოცოს ბერიძეთა გვარი და უფალმა წყალობა ჰყოს, რათა თითოეული ბერიძე იყოს გულწრფელი მორწმუნე და იდგეს ქვეყნის აღმშენებელთა რიგებში.

იმის ფონზე, რომ საქართველოდან მასობრივად გა-

ედინებიან ქართველები უცხოეთში, ჩვენი გვარიდან გასულია მხოლოდ 6 ახალგაზრდა, ისიც – სასწავლებლად.

ეს კარგი, მისაბაძი ტენდენციაა.

როგორც ჩვენი გამოჩენილი პოეტი მურმან ლებანიძე მოგვიწოდებს:

უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი, არა დაღვრილის, დასაღვრელის იქნებ მაცნეა! არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი, არავითარი სხვა გზა, სხვა ხსნა... ბერიძეებს არ გაგვანია!

უფალო ღმერთო, ქართველებს ისე შეაყვარე ერთმანეთი, როგორც ბერიძეებს გვიყვარს!

ბერიძეებო, ჩვენს სათაყვანებელ ერთან ერთად „შვიდმოსოთ რწმენისა და სიყვარულის აზჯარი და ხსნის იმედის მუზარადი“ (თეოსაფ. 1,58).

განვლილი აღდგომიდან აღდგომამდე, ერთ წელიწადში, მხოლოდ ბერიძეებს 2 ათასამდე ახალშობილი შვილი დაიბადა. მარტო ეს მაინც ცოტაა! ყველა ერთად ვთხოვოთ უფალს, რათა მომავალ აღდგომამდე ყველა ოჯახს (დაახლოებით 10.000-ს) ნამატი გვინყალოდეს. მოდით, ქართველი ერის დღევანდელი მიმდინარე და მომავალი მდგომარეობის გათვალისწინებით, სამშობლოს სიძლიერის სიბოლოდ, მიმდინარე წელი შობაღობის წელად გამოვაცხადოთ:

ბერიძეთა ყველა ოჯახს კიდევ ერთი ახალშობილი სამშობლოს კიდევ ერთი ათასი ჩვილი ვაჩუქოთ! ძვირფასების, ხალხისთვის ამაზე დიდი საჩუქარი არ არსებობს!

მიუხედავად ქვეყანაში არსებული სერიოზული სოციალური და გეოსტრატეგიული პრობლემებისა, ბოლო კეთილია. უფალი ჩვენთან არის! არს და იყოს! ამინ!

ქრისტესმეორე სიყვარულით,
ვაჟა ბერიძე – გელ.: 599-33-53-60
ბერიძეთა გვარის ეთნარქი





ქვეყნები, საიდანაც მილიონები ბარბიანს

ბელი დებატების გამო, ბრიტანელმა ბიზნესმენებმა არ იციან, რა იქნება მომავალში, და შესაბამისად, მათ არ შეუძლიათ არაფრის დაგეგმვა.

6. საფრანგეთი, 2018 წელს ქვეყანა დატოვა 3 000 მილიონი

საფრანგეთში არის მაღალგანვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანა, მსოფლიოს ერთ-ერთი ლიდერი სამრეწველო პროდუქციის წარმოების მხრივ. საფრანგეთიდან ბიზნეს-მიგრაციის მიზეზებია ძალიან მაღალი გადასახადები და კონფესიათაშორისი დაძაბულობის ზრდა.

7. ბრაზილია, 2018 წელს ქვეყანა დატოვა 2 000 მილიონი

სოფლის მეურნეობის, ბუნებრივ რესურსების მოპოვების, მრეწველობითა და შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი რაოდენობის წყალობით, ბრაზილიის მშპ ყველაზე მაღალია ლათინური ამერიკის ქვეყნებს შორის. ქვეყნის ძირითადი საექსპორტო პროდუქტებია საავიაციო ტექნიკა, ყავა, სატრანსპორტო საშუალებები, სოიო, რკინის მადანი, ფორთოხის ჩვენი, ფოლადი, ფესხაცემელი, ელექტროაპარატურა, ქსოვილები და შაქარი. ბრაზილიიდან მილიონერების მიგრაციის ხელს უწყობს ცუდი ინფრასტრუქტურა, სოციალური კონფლიქტები, მატერიალური დოვლათის უკიდურესად არათანაბარი განაწილება, კორუფცია, ბიუროკრატია, კრიმინალის მაღალი დონე.

8. საუდის არაბეთი, 2018 წელს ქვეყანა დატოვა 1 000 მილიონი

ქვეყნის ექსპორტის 95% და შემოსავლების 75% მოდის ნავთობზე. ქვეყანა ფლობს ნავთობის მსოფლიო მარაგის 25%-ს, რომელსაც აკონტროლებს სახელმწიფო კომპანია Saudi Aramco.

9. ინდონეზია, 2018 წელს ქვეყანა დატოვა 1 000 მილიონი

მაღალგანვითარებული ინდუსტრიის მიუხედავად, ქვეყანას ახასიათებს ძალიან ღრმა სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა, მაღალი კორუფცია და ბიუროკრატია. იმის მიუხედავად, რომ ინდონეზია ითვლება მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ქვეყნად ეკონომიკის ზრდის თვალსაზრისით, 2018 წელს ის დატოვა 1000-მა მილიონერმა.

commerzant.ge

გავრი ადამიანი ოცნებებს საცხოვრებელი ადგილის შეცვლაზე, მაგრამ ეს საკმაოდ რთული ამოცანაა და დაპირობებულია დიდ დანახარჯებით. თუმცა, მდიდარ ადამიანებს აქვთ საშუალება, რომ იცხოვრონ იმ, სადაც მოსურვებენ. ამჟამინდის გათვლით, 2018 წელს საცხოვრებელი ადგილი შეიცვალა 108 000 მილიონერმა, რაც 14%-ით მეტია, ვიდრე 2017 წელს (95 000). არის რამდენიმე ქვეყანა, საიდანაც მილიონერები მიდიან უცხოეთში განსაკუთრებით დიდი რაოდენობით.

1. ჩინეთი, 2018 წელს ქვეყანა დატოვა 15 000 მილიონი

ჩინეთიდან მდიდარი ადამიანები ძირითადად მიდიან მკაცრი პოლიტიკური რეჟიმის და შესაძლებელი შევიწროების გამო. თუმცა, ჩინეთი, რომელიც არის მსოფლიო ლიდერი ემიგრანტ-მილიონერების რაოდენობის კუთხით, ასევე ლიდერობს ახალი მილიონერების მხრივ.

2. რუსეთი, 2018 წელს ქვეყანა დატოვა 7000 მილიონი

რუსეთში დაიკავა რეიტინგში მეორე ადგილი. მდიდარი ადამიანების მიგრაციის მიზეზებია ეკონომიკური ვარდნა, ცუდი ბიზნეს-გარემო, პოლიტიკური არასტაბილურობა, სამართლებრივი დაუცველობა, და სანქციების შემოქმედება ბიზნესზე. გარდა ამისა, რუს მილიონერებს უცხოეთში იზიდავს ეკონომიკური სტაბილურობა და კაპიტალის გაზრდის საშუალება.

3. ინდოეთი, 2018 წელს ქვეყანა დატოვა 5 000 მილიონი

ბოლო 20 წლის მანძილზე ინდოეთის ეკონომიკა

სწრაფად იზრდება, ქვეყანა გახდა პროგრამული უზრუნველყოფის, ფინანსური და ტექნოლოგიური მომსახურების ექსპორტიორი. თუმცა, ამის მიუხედავად, ეკონომიკური ზრდა არის არათანაბარი, მოსახლეობის დიდი ნაწილი ცხოვრობს უკიდურეს გაჭირვებაში, ქალაქები სავსეა მათხოვრებით და გამოირჩევა ჰიგიენის ძალიან დაბალი დონით. ეს ფაქტორები უზიძვებს ბევრ მდიდარ ინდიელს ემიგრაციისკენ.

4. თურქეთი, 2018 წელს ქვეყანა დატოვა 4 000 მილიონი

თურქეთის ეკონომიკა არის ერთ-ერთი ყველაზე დინამიკურად განვითარებად მსოფლიოში. მრავალდარგოვანი ინდუსტრია, ეფექტური სოფლის მეურნეობა, მომგებიანი გეოგრაფიული მდებარეობა, ახალგაზრდა და იაფი მუშახელი და უცხოური ინვესტიციების დიდი ნაკადი — ესაა ფაქტორები, რომლებმაც აქციეს თურქეთი რეგიონის ერთ-ერთ უძლიერეს ქვეყნად. თურქეთი არის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, ტექსტილის, ავტომობილების, ავტოსატრანსპორტო ნაწილების, გემების, სამშენებლო მასალების და საყოფაცხოვრებო ტექნიკის ერთ-ერთი მონივრულ მწარმოებელი მსოფლიოში. თუმცა, მდიდარ ადამიანებს აშინებთ პოლიტიკური არასტაბილურობა ქვეყანაში, რის გამოც მათ ურჩევიათ გადაბარებულ უფრო მშვიდ და დემოკრატიულ ქვეყნებში.

5. ბრიტანეთი, 2018 წელს ქვეყანა დატოვა 3 000 მილიონი

ბრიტანეთის ეკონომიკის 75% მოდის მომსახურებაზე, ხოლო ლონდონი არის მსოფლიო ეკონომიკის მართვის ერთ-ერთი ცენტრი სამიდან. გაზრდილი მიგრაცია უკავშირდება ქვეყნის ევროკავშირიდან გასვლას და ამის გამო გაჩენილ გაურკვევლობას. დაუსრულე-

49 წლის განმავლობაში ჩაკეტილი სიფი ერთი შემთხვევითი კომბინაციით გაიხსნა!

კანადელმა მამაკაცმა, შემთხვევით, 49 წლის განმავლობაში ჩაკეტილი სიფი ერთი მარტივი კომბინაციით გახსნა. სიფი მრავალი წლის განმავლობაში კანადის პატარა ქალაქ ბუნსვიკის მუზეუმში ინახებოდა. მიუხედავად მრავალი მცდელობისა, მის გახსნაში პროფესიონალების ჩართვისა, ნახევარი საუკუნის განმავლობაში დამცავი კოდის გამოცნობა ვერავინ მოახერხა.

სიფში ძვირფასი არაფერი აღმოჩნდა, მხოლოდ რამდენიმე ქვითარი, რესტორნის ანგარიში და სენდვიჩი. თუმცა, მუზეუმის ადმინისტრაციის განცხადებით სიფის ამდენი წლის შემდეგ გახსნა უტყუარ შთაბეჭდილებას ქმნის მაშინდელი ცხოვრების შესახებ. ტორონტოს უნივერსიტეტის პროფესორმა გამოთვალა სიფის პირველ ჯერზე გახსნის ალბათობა და ეს 1/216,000-ია. შემთხვევით შეყვანილი კოდი, რომელმაც სიფი გახსნა, 20/40/60 იყო. მუზეუმის ინფორმაციით, სასტუმრომ, რომელმაც 1907 წელს მენეჯმენტი შეიცვალა, სიფი ქალაქის მუზეუმს გადასცა.

ზელენსკომ აპერიკას შეიარაღების შესყიდვის თხოვნით მიმართა

უკრაინის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა ამერიკის სენატორ რობერტ პორტმანთან შესვედრისას უკრაინისთვის ახალი შეიარაღების შესყიდვის აუცილებლობაზე განაცხადა. სენატორმა აღნიშნა, რომ საუბარი ეხებოდა მრავალ პრობლემურ ასპექტს უკრაინის თავდაცვაში, მათ შორის განიხილეს რუსული პროპაგანდა და საშუალებები, რომლითაც დაუპირისპირდებიან მას.



2019 წლის ბოლომდე ამერიკის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 200 მილიონი დოლარი, რომელიც მოხმარდება უკრაინის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას, 2020 წელს კი თანხის რაოდენობა 250 მილიონ დოლარამდე გაიზრდება. 30 მაისს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის საგარეო საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელმა ელიოტ გნეგელმა მოამზადა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს უკრაინისთვის 300 მილიონი დოლარის ღირებულების ანტი-საჰაერო და ხომალდსაინააღმდეგო სისტემების გადაცემას. დოკუმენტი სავაჭროდებლო ორგანოს დასამტკიცებლად გადაეცა.

საუღაო პატივს მკვლელობისთვის

ბერმანში ეთან ნილს ჰეგელს 85 პაციენტის მკვლელობისთვის სამუდამო პატივობა მიუსაჯეს. ინფორმაციას ამის შესახებ „დოიჩე ველე“ ავრცელებს. 42 წლის ნილს ჰეგელს 15 წლის შემდეგ სასჯელის გადახედვის უფლება არ ექნება. გამოძიებამ დაადგინა, რომ 1999-დან 2000 წლამდე პერიოდში ქვემო საქსონიაში, ოლდენბურგისა და დელმენჰორსტის კლინიკებში მუშაობისას ნილს ჰეგელი პაციენტებისთვის მედიკამენტების შეყვანის

გზით განგებ ინვესტა მათი გულის გაჩერებას, რათა შემდგომ მათი რეანიმირებით გარემომოყოფთა აღტაცება გამოეწვია. თუმცა უმეტეს შემთხვევაში მას პაციენტთა რეანიმირება არ გამოსდით. სასამართლოში ნილს ჰეგელმა მსხვერპლთა ოჯახებს ბოდიში მოუხადა.

საუკუნეებიანებულმა პედესანტებმა 75 წლის წინათ შესრულებული ნახტომი გაიხსნეს

94 და 95 წლის მედესანტებმა 75 წლის წინათ ნორმანდიაში შესრულებული ნახტომი გაიხსნეს. პარი რიდი და ჯოკ ჰატონი ნორმანდიაში მოკავშირეთა ჯარების გადასხმის ოპერაციის 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით პარაშუტით დაეშვნენ. აღსანიშნავია, რომ ვეტერანი მედესანტებისთვის ეს პირველი საიუბილეო ნახტომი არ ყოფილა. მანამდე ისინი პარაშუტით „ნორმანდიული ოპერაციის“ დანქების 65-ე და 70-ე იუბილესზე დაეშვნენ. გუშინ მოკავშირეთა ჯარების ნორმანდიაში გადასხმის ოპერაციის 75-ე წლისთავი საფრანგეთში აღნიშნეს.





ზაზა სარალიძე: „ჩავთვალოთ, რომ სამართალი აღგენილია!“

როგორ გაასამართლებენ კალანდიას, როგორს მოზარდს თუ ზრდასრულს?

2017 წლის პირველ დეკემბერს ხორავას ქუჩაზე დავით სარალიძის განზრახ ჯგუფურად დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის საქმეზე დაკავებულ 18 წლის მიხეილ კალანდიას ბრალი ოფიციალურად 5 ივნისს წაუყენეს. პროკურატურის ინფორმაციით, „მიხეილ კალანდიას ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „მ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რაც გულსხმობის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის განზრახ ჯგუფურად მკვლელობას“.

ეს მუხლი ითვალისწინებს პატიმრობას 13-დან 17 წლამდე.

როგორც მიხეილ კალანდიას ადვოკატი ანა კოტეტიშვილი ეუბნება „რადიო თავისუფლებას“, მისი დაცვის ქვეშ მყოფი ბრალს არ აღიარებს. ადვოკატი მიხეილ კალანდიას წინასწარი დაკავების იზოლაციისთვის 4 ივნისს, საღამოს შეხვდა: „ძალიან მძიმე ბრალი აქვს წაყენებული და ცხადია, მისთვის ემოციურად ძალიან რთულია ამ პოზიციაში ყოფნა. თუმცა, მზად არის, რომ ბოლომდე იბრძოდეს საკუთარი უდანაშაულობის დასამტკიცებლად. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ის ბრალდება, რასაც ამ ეტაპზე გვედგებოდა, აბსურდულია და არ არსებობს არანაირი მტკიცება იმისთვის, რომ წარედგინა ბრალში მიხეილ კალანდიას გამტყუნდეს. აქედან გამომდინარე, ვემზადებით იმისთვის, რომ მოგვიწივს ბრძოლა ამ ყველაფრის დასამტკიცებლად“.



მიუხედავად იმისა, რომ დღეს მიხეილ კალანდია სრულწლოვანია, დანაშაულის სავარაუდოდ ჩადენის დროს, 2017 წლის პირველ დეკემბერს, ის არასრულწლოვანი, 16 წლის იყო. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მეორე მუხლის, მეორე პუნქტის თანახმად კი ეს კოდექსი გამოიყენება იმ პირის მიმართაც, რომელიც დანაშაულის ჩადენისას არასრულწლოვანი იყო და შემდეგ გახდა სრულწლოვანი.

ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად კი, თუ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის დანერგვისას პირი არასრულწლოვანი იყო და პროცესის დასრულებამდე გახდა სრულწლოვანი, მის მიმართ პროცესის იმ ეტაპიდან, როცა ის სრულწლოვანი გახდა, გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმები.

შესაბამისად, მიხეილ კალანდიას ადვოკატის თქმით, ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, სასჯელის ზომის განსაზღვრისას, ისევე როგორც ხორავას ქუჩის საქმეში სხვა, ორი არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიმართ, სავარაუდოდ, გათვალისწინებული იქნება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, ანუ მიხეილ კალანდიას მსჯავრი არ უნდა ასცდეს 12 წელს.

დანაშაულის სიმძიმის მიუხედავად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, სასჯელის

მაქსიმალურ ზომად განსაზღვრავს 12 წელს. სასჯელის შეფარდებისას ასევე განსაზღვრულია დამნაშავეთა ასაკობრივი ჯგუფები — 16 წლამდე მოზარდებში სასჯელის მაქსიმალურ ზომად შესაძლოა, გამოყენებული იყოს 10 წელი; 16-დან 18 წლამდე მოზარდებში კი — 12 წელი.

სრულწლოვნების შემთხვევაში, ანალოგიური ქმედება, ანუ ჯგუფურად განზრახ მკვლელობა, ისჯება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც გულსხმობს თავისუფლების აღკვეთას ვადით 13-დან 17 წლამდე.

სხვა საკითხებთან ერთად, მოზარდთა საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ასევე ადგენს საქმის ძიების და წარმართვის შემჭიდროებულ ვადებსაც.

4 ივნისს, მას შემდეგ, რაც გამოძიებამ მიხეილ კალანდია დავით სარალიძის მკვლელობის ბრალდებით დააკავა, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანამ, სწორედ შემჭიდროებული ვადები დაასახელა მიზეზად, რის გამოც თავის დროზე, მისი თქმით, შეუძლებელი გახდა მეტი მტკიცებულების შეგროვება. შესაბამისად, მიხეილ კალანდიას გამოძიების პირველივე ეტაპზე დაკავება: „ამ საქმეს პირველივე დღიდან იძიებს შსს-ს საგამოძიებო ორგანო, ზედამხედველობდა პროკურატურა და მათ ის გააკეთეს, რაც შეძლეს იმ პირობებში, როდესაც არაერთი არასრულწლოვანი მოწმე არასრულ, ცრუ ჩვენებას აძლევდა, ფარავდენს ერთმანეთს. რეალურად იმ მოკლე ვადებში, რომელსაც ბავშვის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე ჩვენი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს, შეუძლებელი იყო იმაზე უფრო მეტი მტკიცებულების მოპოვება თავის დროზე, რაც იქნა მოპოვებული“.

აბსურდულ თავის მართლებად მიაჩნია თეა წულუკიანის განცხადება „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ იურისტს ანა თავხელიძეს. მისი თქმით, გამოძიების შემჭიდროებული ვადები არ ნიშნავს იმას, რომ გამოძიების ეტაპზე შესაძლოა, დაშვებულ იქნას შეცდომა:

„დიას, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შესაბამისად, უფრო შემჭიდროებულ ვადებში ხდება საქმის გამოძიება, დევნის განხორციელება და სასამართლო განხილვა. თუმცა, კოდექსი მიღებულია ყველა დეტალის გათვალისწინებით, მათ შორის, იმ გონივრული ვადებით, რაც სჭირდება საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას, შემაჯამებელი გადანაცვლების მიღებას და ა.შ. არ შეიძლება ეს კოდექსი გავიგოთ ისე, რომ არაკოდა გამოძიების პროცესი შემჭიდროებულ ვადებში მიმდინარეობს, შესაძლოა, დაშვებული იყოს ხარვეზები. ეს ნამდვილად ვერ იქნება გამამართლებელი არგუმენტი“.

მიხეილ კალანდიას ძმა ლუკა კალანდია ამბობს, რომ მისი ძმა უდანაშაულოა და ის მხოლოდ იმიტომ დააკავეს, რომ სახელმწიფომ ტაში დაიმსახუროს:



„როგორც ინფორმაცია გავრცელდა, ერთ-ერთი დაკავებულის, გ.ჯ.-ს ჩვენება უძღოდა წინ დაკავებას. ასევე, როგორც ვიცო, არსებობს ორი ირიბი მოწმის ჩვენება, თითქოს მათ დაინახეს, როგორ გამოზოდა მიხეილ კალანდია და თითქოს მას რაღაც ეჭირა ხელში. ეს ყველაფერი არის გამოგონილი. ვის რაში სჭირდება ეს, არ ვიცი. დიას, პოლიტიკურ მოტივსაც გხვდებით, რადგან ამდენი ხნის შემდეგ, მიხეილ კალანდიას, უდანაშაულო ბავშვს აკავებენ და ამ ყველაფერს ასახელებენ ისე, თითქოს აქამდე არაფერი არ ჰქონდათ და საზოგადოებას წინასწარჩვენოდ აწყინებენ იმით, რომ მოვიპოვეთ დამატებითი მტკიცებულებები და დაავდეთ სამართალი, რომელსაც ამდენი ხანი საზოგადოება ითხოვდაო. სად არის აქ სამართალი? პირველივე დღეებში ყველაფერი ოპერატიულად იყო გამოძიებული, მკვლელს ვერ უმტკიცებენ ბრალს, თორემ ის უკვე დაკავებულია, ყველამ ყველაფერი კარგად იცის, უბრალოდ, ვერ უმტკიცებენ მკვლელს დანაშაულის ჩადენას“.

— განაცხადა ლუკა კალანდიამ ჟურნალისტებთან საუბრისას.

მიხეილ კალანდიას, ე.წ. „ოქროს მონღის“ დაკავებას ზაზა სარალიძე, დავით სარალიძის მამა, 18 თვის განმავლობაში ითხოვდა.

4 ივნისს, მას შემდეგ, რაც ოფიციალურად გავრცელდა ინფორმაცია მიხეილ კალანდიას დაკავების შესახებ, ზაზა სარალიძემ თქვა: „ჩავთვალოთ, რომ სამართალი აღგენილია“.

უსს-მ მასშტაბური კიბერდანაშაული გახსნა



როგორ კარგავდნენ მოქალაქეებს კიბერსაფრთხოება

უსს-მ მასშტაბური კიბერდანაშაულის ბრალდებით თურქეთის 2 და საქართველოს 1 მოქალაქე დააპატიმრა.

ამასთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ **მამუკა ჭელიძემ** საგანგებო ბრიფინგი გამართა.

ბრიფინგის ტექსტს უცვლელად გთავაზობთ:

„კიბერდანაშაულთან ბრძოლა შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია. საზოგადოებას ვაცნობებთ, რომ ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ინტენსიური ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, თურქეთის რესპუბლიკის 2 და საქართველოს 1 მოქალაქე კიბერდანაშაულისთვის თბილისში დააკავეს.“

დაკავებულებს ბრალად ედებათ კომპიუტერული სისტემაში უნებართვო შეღწევა, კომპიუტერული მონაცემების უკანონოდ გამოყენება, კერძო კომუნიკაციების საიდუმლოების დარღვევა და ქურდობა. მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 2-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულნი წინასწარ შემუშავებული დანაშაულებრივი სქემის მიხედვით, უკანონოდ ეუფლებოდნენ მოქალაქეთა საბანკო მონაცემებს და აღნიშნული მონაცემების გამოყენებით, მოქალაქეთა კუთვნილ თანხებს მართლსაწინააღმდეგოდ ისაკუთრებდნენ.

კერძოდ, აღნიშნული პირები სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ რეკლამის სახით სისტემატურად ათავსებდნენ ვებ-გვერდებს, რომლებიც ვიზუალურად ჰგავდა „საქართველოს ბანკის“ და „თიბისი-სი ბანკის“ ინტერნეტ-ბანკინგის ვებ-გვერდებს. აღნიშნული ვებ-გვერდების მეშვეობით, ხდებოდა „ფეისბუქის“ მომხმარებლებისთვის სხვადასხვა სახის ინტერნეტმომსახურების შეთავაზება. გარდა ამისა, მომხმარებლებს მონივრულად მიზნით, აღნიშნული ვებ-გვერდებიდან ვრცელდებოდა ცრუ ინფორმაცია, თითქოსდა ბანკი ათამაშებდა სხვა და სხვა სახის ძვირადღირებულ პრეზენტებს. შედეგად, რეალურ ინტერნეტბანკინგთან ვიზუალური მსგავსების გამო, მოქალაქეები შეჰყავდათ შეცდომაში და მოტყუების გზით, ეუფლებოდნენ მათ საბანკო მონაცემებს.

დაკავებული პირები თანხებს მათ მიერ სხვადასხვა ბანკისა და ინტერნეტ-ტოტალიზატორების წინასწარ შექმნილ ანგარიშებზე რიცხავდნენ და მართლსაწინააღმდეგოდ ითვისებდნენ.

აღნიშნული ქმედებით ამ პირებმა მოქალაქეებს 200 000 (ორასი ათასი) ლარამდე ფინანსური ზიანი მიაცივეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულების საცხოვრებელ სახლში, დროებით საცხოვრებელ ბინასა და სასტუმროს ნომერში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს 3 ლეპტოპი, 4 მობილური ტელეფონი, ერთი ცალი პერსონალური კომპიუტერი, რამდენიმე საბანკო პლასტიკური ბარათი და ფული.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, 284-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 285-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 158-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიმდინარეობს.

აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს საბანკო სექტორთან, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი ტიპის დანაშაულთან ეფექტიანი ბრძოლის პროცესში.

სამინისტრო ინტენსიურად განაგრძობს ბრძოლას მსგავსი სახის დანაშაულის წინააღმდეგ, რათა ქვეყნის საბანკო სექტორი და მისი მომხმარებლები მაქსიმალურად იყვნენ დაცული“ — განაცხადა მამუკა ჭელიძემ საგანგებო ბრიფინგზე.

თაობა



„კლასიკური“ მონაბარი

სამი „ოქრო“, ერთი „ვერცხლი“, ორი „ბრინჯაო“ და გუნდური მეორე ადგილი – ასეთი შედეგით დაასრულა რევზ ლაშის განვრთნილმა საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ესპანურ პონტივედრაში გამართული ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი.

სი პირველი ტიტულია და ლანჩხუთელი გიორგი შოთაძე (67 კგ) ავიდნენ, თანაც ალსანი შნავია, რომ ფინალური ბრძოლები ორივემ მეზობლებს მოუგო, შესაბამისად, აზერბაიჯანელ ასგარ ალიზადესა (8:3) და სომეხ ჰაიკ მელიქიანს (9:0).

ჭაღრაპი

პირველი მარცხი

შაზანში მიმდინარე პრეტენდენტთა განახლებულ ტურნირზე რუს ალექსანდრა კოსტინიუკთან მეხუთე ტურში პირველი მარცხი იწვნია ნანა ძაგნიძემ, რაც ლიდერობის დაკარგვად დაუჯდა.




იმავე დღეს ასევე ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა ალექსანდრა გორიაჩვინამ ჩინელ თან ჩჟუნს სძლია და საქართველოში ცხრილში ერთპიროვნულად დაინიანურდა.

ვითარება

გონივრული სიფრთხილი

სამბარაშვილმა, სერიოზული დანაკლისით გაემგზავრება ბელარუსის დედაქალაქ მინსკში დაგეგმილ მეორე ევროპული თამაშებზე საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები.

საუბარია „ჯვაროსანთა“ მიმდევროსან ლიდერ გენო პეტრიაშვილზე, რომელმაც მენის კის ოპერაცია გაიკეთა და, მართალია, სარეაბილიტაციო კურსმა გართულების გარეშე ჩაიარა, მაგრამ გუნდის თავკაც გიორგი იანტბელიძეს უფრო პრიორიტეტულად მსოფლიოს ჩემპიონატი მიაჩნია და ამჯერად გარისკვას არ აპირებს.



როპის ჩემპიონის ნაცვლად იგი ნდობას, ალბათ, ელიზბარ ოდიკაძეს გამოუცხადებს, ხოლო 97 კგ წონით კატეგორიაში მის ადგილას გივი მაჭარაშვილს დააყენებს.

მანუჩარ გიორგაძე

ოქეანის გაღმა

უფსკრულის პირას

მოსდა ის, რასაც ყველაზე მეტად უფრთხოდნენ „გოლდენ სტილის“ ქობაგები – ტრავმების ეპიდემიამ ნბა-ს მოქმედ გვირგვინსანს სწორედ ფინალურ რაუნდში შეუქმნა ჯერჯერობით გადაუჭრელი პრობლემები.

დარბაზის უპირატესობა დაიბრუნა – 123:109. არანაკლებ დასანანია ოკლენდელთა ლიდერ სტივ კარის ამოო გარჯა – მისმა 47-მა ქულამ, 8 მოხსნამ და 7-მა შედეგიანმა გადაცემამ პარტნიორებს ვერ უშველა.



შედეგად სერიაში მისი მეტოქე „ტორონტო“ 2:1 დანინაურდა და ისტორიული ტიტულის მოპოვებას 2 ნაბიჯიდა აშორებს. რაც ყველაზე უფრო საგანგაშოა, კანადურმა კლუბმა გუშინ სტუმრად მოგებულ ბრძოლით საკუთარი

ამ ფონზე გადამწყვეტი აღმოჩნდა „რეპტორზის“ უკანახაზელების – კავალიონარდის 30 და კაილ ლოურის 23-ქულიანი მონაგარი, რასაც უკეთესი გუნდური თამაშიც დაემატა.

ვიტალი ჯაფარიძე

საფეხბურთო მოზაიკა

გამოვლინდა ერთა ლიგის პირველი ფინალისტი. ესაა პორტუგალია, რომელმაც „დრაგოს“ სტადიონზე 3:1 დაა-



მარცხა შევიცარია და ზეგ იქვე ახალი ტურნირის მოგებას შეეცდება.

ოთხთა დასკვნითი მინიტურნირის მასპინძლის გამარჯვებაში ლომის წილი კრიშტიანუ რონალდომ დაილო, რომელმაც კარიერაში 53-ე, მათ შორის მე-7 სა-ნაკრებო პეტ-ორიქით პირადი მონაგარი 88 გატანილ ბურთამდე აიყვანა.

მართალია, პოპულარული ევროტურნირები და წამყვანი ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატები უკვე დასრულდა, მაგრამ ფეხბურთის მოყვარულებს მოსაწყენად ნამდვილად არ სცალიათ: ერთა ლიგა, ქალთა მუნდიალი, კოპა ამერიკა, კონტინენტის პირველობის შესარჩევი რაუნდი –

ასეთი გახლავთ სეზონის დარჩენილი კალენდრის არასრული ჩამონათვალი.

არ უნდა დაგვავინყდეს ასაკობრივი ფორუმებიც, რომელთაგან ერთ-ერთს – 20-წლამდეელთა მსოფლიო ჩემპიონატს ამ დღეებში პოლონეთი მასპინძლობს.

სხვათა შორის, მეხი მის საკვალიფიკაციო ეტაპზევე გავარდა, როცა ფინალურ ბათალიებს მიღმა ბრაზილია, გერმანია, ესპანეთი და ჰოლანდია დარჩნენ, მაგრამ ეს თურმე ყურნალი ყოფილა.

საკმარისია ითქვას, რომ ჯგუფში ჩარჩა პორტუგალია, ხოლო ფავორიტთა რბევის პროცესმა შეუქცევადი სახე პლეი-ოფებშიც შეინარჩუნა: მერვედფინალების შემდეგ სამშობლოში დაბრუნება მოუწიათ ურუგვაის, საფრანგეთსა (ამ გუნდებმა ქულათა მაქ-



სიმუმი მოაგროვეს საწყის სტადიაზე) და არგენტინას.

ჩვენ, ბუნებრივია, განსაკუთრებული ინტერესით ვადევნებთ თვალს უკრაინელთა თამაშს, რომლის ღირსებასაც თბილისის „დინამოს“ ყოფილი თავდამსხმელის კობა ნიტიანი შეიღის ვაჟი გიორგი ნიტიანი იცავს. მან 60 წუთი გაატარა მინდორზე პანამელბთან 4:1 მოგებულ შეხვედრაში და პარტნიორთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

მეოთხედფინალში ითამაშებენ: კოლუმბია – უკრაინა, იტალია – მალი, აშშ – ეკვადორი, კორეა – სენეგალი.

ვიზას პრეზიდენტმა ჯანი ინფანტინომ კიდევ 4 წლით შეინარჩუნა თანამდებობა.

ეს პარიზში გამართულ ფიფას 69-ე კონგრესზე მოხდა, სადაც 49 წლის იტალიური ფესვების შვეიცარიელი ჩინოვნიკი არჩენებზე ერთადერთი კანდიდატი იყო. შეგახსენებთ, რომ მან 2016 წელს პოსტი კორუფციული ფაქტების გამო სკანდალურად ჩამოშორებული თანამემამულის იოზეფ ბლატერის ნაცვლად დაიკავა.



გიორგი შოთაძე

ადამიანის ეკოლოგიის ამსახველი სივრული კლასიკის წარდგინება დეანოსში



დეანოსში ადამიანის ეკოლოგიის ამსახველი ციფრული პლატფორმის პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიებას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მარიამ ქვრივიშვილი დაესწრო.

სეზონის გახსნას დეანოსში ეროვნული მუზეუმის დირექტორი – დავით ლორთქიფანიძე ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებული – შოთა რეხვიანიშვილი, დეანოსის მუნიციპალიტეტის მერი – გიორგი ტატიშვილი და თურქეთის ელჩი – ფატიმა სერენ იაზგან და ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სტუდენტები დაესწრნენ.

ადამიანის ეკოლოგიის ამსახველი ციფრული პლატფორმის პირველი ეტაპის პრეზენტაცია ეროვნული მუზეუმისა და ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის თანამშრომ-

ლობის ფარგლებში შეიქმნა. „სილიკონ ველი“ თბილისის სპეციალისტებმა დეანოსის მუზეუმში არსებული არტეფაქტების 3D მოდელების რეალურ გარემოში ინტეგრაცია დაინიშნა.

არტეფაქტების პირვანდელი მდგომარეობის შესაბამისად, ერთიანი ვიზუალიზაცია უპრეცედენტო საქართველოს სამუზეუმო სივრცისთვის და დამთვალიერებელს მუზეუმში ვიზიტისას სრულიად ახალ, განსხვავებულ გამოცდილებას სთავაზობს.

დეანოსის მუზეუმში მისულ დამთვალიერებლებს საშუალება ექნებათ აპლიკაციის გამოყენებით, მათთვის საინტერესო ნიმუშის ტექნოლოგიებთან ადაპტირებული ვერსია იხილონ და გაეცნონ ექსპონატის შესახებ დეტალურ ინფორმაციას ციფრული გიდის გამოყენებით.

პროექტის განხორციელება

რამდენიმე ეტაპს მოიცავს, პირველ ეტაპზე, დეანოსის მუზეუმის დამთვალიერებელი ვირტუალურ და გაფართოებულ რეალობაში წარმოდგენილი უძველესი ადამიანის ნაშთებს – ზეზვას და მზიას ნიმუშებს იხილავს.

„დეანოსის მუზეუმში მზადაა ზაფხულის სეზონზე ტურისტების მისაღებად. დღევანდელი დღე ძალიან მნიშვნელოვანია, მუზეუმსა და ტურისტებს შორის საინტერესო თანამშრომლობა შედგა, შედეგად შეიქმნა ვიზუალიზაცია გაფართოებული რეალობით ზეზვას და მზიას გამოსახულებით და ტექნოლოგიებში განვითარდა ადამიანის ეკოლოგიის ისტორია. შესაბამისად ეს იქნება ძალიან საინტერესო ატრაქციონი საქართველოში ჩამოსული სტუმრებისთვის, რომლებიც შეიტყობენ, რომ საქართველოში პირველი ევროპელები აღმოაჩინეს“, – განაცხადა მარიამ ქვრივიშვილმა.



ნარკოლოგი ზურაბ სიხარულიძე სოციალურ ქსელში ამფეტამინის მოხმარებელს საგანგაშო შედეგზე გვაფრთხილებს.

„რაც დღეს ხდება ამფეტამინის მოხმარების თვალსაზრისით საქართველოში უკვე ყველა საზღვარს გადასცდა, კატასტ-

ზურაბ სიხარულიძე: საქართველო კატასტროფის წინაშეა!

როფის წინაშე ვდგავართ და გამოსავალიც არ ჩანს, ვინაიდან ამ ნივთიერების მოხმარებლები არ თვლიან, რომ ეს არის პრობლემა. ახალი მიდგომები, რაც დღეს მსოფლიოშია, არც ინერგება და არც საუბრობს ამაზე არავინ. უნდა ვისაუბროთ, როგორ შევამციროთ ზიანი, რომელიც მოაქვს ამ ნივთიერებას და რას მივიღებთ შორეულ პერსპექტივაში თუნდაც 5 წლის შემდეგ. ის ფსიქოპათოლოგია, რომელიც ვითარდება ამ ნივთიერების მოხმარების დროს, დიდ შემფოთებას იწვევს და განვითარებული ქვეყნით და ფსიქიკური აშლილობა ძალიან რთული სამართავია და ზოგჯერ საერთოდ უმარ-

თავიც. პერსპექტივაში მივიღებთ ძალიან დიდ კოჰორტას ადამიანების, რომლებიც ორმაგი დიაგნოზების მქონენი იქნებიან. დღევანდელი სისტემა ამისთვის არ არის მზად და არც უჩინა პირი, რომ მოემზადება ან რამეს იზამს. თუ ჩვენ არ გავითვალისწინებთ და არ დავერგეთ საერთოშორისო პრაქტიკა ამ ნივთიერების ზიანის შესამცირებლად, ნამდვილად დიდი კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდებით. მართლმედიკალიზაცია არაფერს მოიტანს, სჭირდება სოციალური მიდგომების განვითარება რითი დავუხმაროთ ასეთ ადამიანებს, ვინც აირჩია ეს გზა“, – წერს ნარკოლოგი.

რას ეპობს 16 წლის გოგონა, რომელიც ნათესავს კალაღობაში აღანაშაულებს

ლაბოდაში მცხოვრები 16 წლის გოგონა ამბობს, რომ გასული წლის სექტემბერში, ოჯახის ნათესავმა, 40 წლის კაცმა გააუბატურა.

ამბავი კი მას შემდეგ გახმაურდა, რაც არარსულნიკოვანი სკოლაში გაკვეთილზე შეუძლოდ გახდა, სასწრაფო დახმარების მანქანით საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც აღმოჩნდა რომ ის ორსულად იყო. გოგომ ბავშვი იმავე დღეს გააჩინა.

„მისი შვილი ჩემი მეგობარი და თანაკლასელია. მასთან ვიყავი ღამით, დედა სახლში არაა და ჩემთან დარჩიო, მთხოვა. ჩვენ ახლო მეზობლებიც ვართ. ჩემმა მეგობარმა და მისმა პატარა ძმამ ერთ ოთახში დაიძინეს, მე კი მეორე ოთახში. ღამით მამამისი მოვიდა, პირზე ხელი დამაფარა, დამიჭირა და გამაუბატურა. მერე დამეჭრა, რომ მომხდარის შე-

სახებ არავისთან არაფერი მეთქვა, თორემ ჩემი ოჯახის წევრებს, მშობლებს და პატარა ძმას მომიკლავდა. შემეშინდა და არავის ვუთხარი. ვიდრე ბავშვი არ გავჩინე, არ ვიცოდი თუ ორსულად ვიყავი. არც მუცელი მეტყობოდა. როცა მკითხეს, ვისგან ვიყავი ორსულად, მშობლებსაც ვუთხარი და პოლიციასაც, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ დაუჭერიათ“, – უთხრა გოგომ „რეგინფოს“.

მამაკაცი, რომელსაც გოგო გაუპატიურებდა იმ დანაშაულებს, ამბობს, რომ გოგოსთან სექსუალური კავშირი არ ჰქონია.

გოგოს და მისი ოჯახის წევრების თქმით, მომხდარის გახმაურების შემდეგ, არასრულწლოვან გოგოს გაუპატიურებაში დადანაშაულებული კაცის 14 წლის შვილზე დანიშნა შესთავაზეს, მხოლოდ იმ პირობით, რომ ბიჭი 16 წლის რომ გახდებოდა, გოგოს ცოლად მერე მიიყვანს.

საქართველოს ქალთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება მშენებელ ქალთა ღირსეული წარმომადგენლის, საქართველოს ქალთა მოძრაობის აქტიური მონაწილის, უღალატო მეგობრისა და თანამდგომის **ლილი არობელიძის** გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს. დაკრძალვა 8 VI, 14 საათზე. მისამართი ირაკლი აბაშიძის ქუჩა №37, სადარბაზო I, მე-9 სართული.

დედა ლია ნადარეიშვილი, მეუღლე ნინო შარაშიძე, შვილები ანნა, გივი გვასალიები, და მანანა გვასალია, სიძეები გია საგანელიძე, გიორგი კვანტალიანი ოჯახებით, სიმამრი სულხან შარაშიძე ოჯახით, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **დათო გვასალია** პანაშვიდი 6, 7 VI, 18 საათზე, ჭაჭყავაძის გამზ. 39, მე-6 სადარბაზო, მე-5 სართული, გამოსვენება 8 VI, 14 საათზე ვაკის სამების ეკლესიიდან.

საქართველოს ილია ჭაჭყავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია ღრმა მწუხარებით უსამძიმრებს ასოციაციის თავმჯდომარეს, წიგნის დიდ ქომავს, უსათნოეს ქალბატონ ლია ნადარეიშვილს საყვარელი შვილის **დათო გვასალიას** გარდაცვალების გამო.

გურამ გუნავა, ნაწული მხეიძე, თინა ჯღამაძე ოჯახებით თანაუგრძობენ ღრმა მწუხარებაში მყოფ ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, ღირსეულ ქალბატონს ლია ნადარეიშვილს შვილის **დათო გვასალიას** გარდაცვალების გამო.

აჭარაში 190 აბი „სუბოქსინი“ ამოიღეს

შინაშენ საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიული-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების და დიდი ოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო შექმნა-შენახვის ფაქტზე, 1966 წელს დაბადებული დ.ს. და 1980 წელს დაბადებული ა.ჩ. დააკავეს.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სამართალდამცველებმა, დაკავებულების პირადი ჩხრეკისას, 190 აბი „სუბოქსინი“, ბუპროპრონის და 39-როინის შემცველი ნარკოტიკული საშუალებები და 10 გრამამდე ფსიქოტროპული ნივთიერება ამოიღეს. გამოძიება დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების, ასევე, დიდი ოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო შექმნა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს.

ღიღი ოდენობით ყალბი აქციზური მარკები დაამზადა და... გაეხა!

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ბურმა დიდი ოდენობით ყალბი აქციზური მარკების დამზადება-გასაღების ფაქტზე ერთი პირი დააკავა.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ, გატარებული ოპერატიული-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ყალბი აქციზური მარკების დიდი ოდენობით დამზადება-გასაღების ფაქტზე, დაკავებული იქნა ერთი პირი.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, არაკანონიერი მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, დამზადა და გაასაღა სიგარეტის ნაწარმის მარკირებისათვის განკუთვნილი დიდი ოდენობით ყალბი აქციზური მარკა. საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულია 1545 ცალი ყალბი აქციზური მარკა, აქციზური მარკების საბეჭდი კომპიუტერული ტექნიკა და შესაბამისი ტექნიკური დანადგარი.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 პრიმა მუხლის მეორე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 6 წლამდე ვადით“ – აღნიშნულია ფინანსთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

გონიერო მთაწმინდელეო, არ გაბობრჩეთ, 9 ივნისს მთაწ- მინდა ირჩევს ლალო კახაძეს!



„მთაწმინდას როგორ ჩაესუტებო?!“

ა, კიდევ ერთი მწუსარე სახის რაინდი მოდის ძმათა საშველად, ნაცთა სექტაში უკვე აკურთხეს, და „შალვა დიდი“ არქვეს სახელად.

ის მათი მსხვერპლის დამცველი იყო, ხმალამოწმადილი სად არ დარბოდა, ჭეშმარიტებას რომ ვერ აღწევდა, კაცი დღედაღამ წუსდა, დარდობდა.

უკან დასვება არც უფიქრია, თუცა რა იცი? ებრძოდა ნაცებს?

რადგან, რომ დადგა ჟამი სიძარტლის, გულში ჩაეკრა სწორედ იმ გნაცებს.

მან ჩაისუტა ყველა ბელადი, პოლიტიკურად გარდაცვლილები, თვითონ აღმოჩნდა მათი მესია და გაცოცხლების ბოლო იმედი.

ის აღიარა ნაცთა ბელადმაც, ვინც სამშობლოსთვის, ალბათ, ჭირია, მართლა კაცია-ადამიანი?! –

ბრაზით გვეტყოდა დიდი ილია.

ბოლოს კი მწარე კითხვას დაგისვამთ, აი დარდი, თუ გაგვებუტები: თრბირა კაცთა სვევნით მოთხვრიდი, მთაწმინდას როგორ ჩაესუტები?

ნუზარ ტიშუა

ნომინირებული საერთაშორისო ფესტივალზე

ძართული სამეცნიერო მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი „საქართველო ღვინის სამშობლო“ ნომინირებულია მეღვინეობა-მევენახეობისადმი მიძღვნილი ფოტოგრაფიისა და კინემატოგრაფიის მსოფლიოში ყველაზე დიდი ისტორიის მქონე კონკურსზე – „Oenovideo“.

„Oenovideo“ ყოველწლიურად საფრანგეთში, კერძოდ, ქალაქ მარსელის „ევროპისა და ხმელთაშუაზღვის ცივილიზაციების მუზეუმში“ იმართება. წელს, ფესტივალის შესარჩევ ეტაპზე, მონაწილეობდა 144 ფილმი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, ნომინანტების სიაში კი მათგან მხოლოდ 37 მოხვდა, მათ შორის, „საქართველო ღვინის სამშობლო“.

რიგით 26-ე ფესტივალი „Oenovideo“ წელს 13-16 ივნისს გაიმართება. ფესტივალის კონკურსის ჟიურის წევრები არიან: კეტრინ ლამორი – პროდიუსერი და „Canal+“-ის ჟურნალისტი; ემანუელ მულე – კინორეჟისორი და პროდიუსერი; ნიკო-

ქვეყანა საერთაშორისო მასშტაბით გახდა აღიარებული მეღვინეობის სამშობლოდ.

2017 წლის 13 ნოემბერს აშშ-ის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო ჟურნალში PNAS გამოქვეყნდა სტატია სახელწოდებით „საქართველოს ადრეული ნეოლითური ღვინო სამხრეთ კავკასიიდან“. მასში საუბარია მეღვინეობის უძველეს კვალზე, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე იქნა აღმოჩენილი და საიდანაც ის მთელ მსოფლიოში გავრცელდა. ამ სტატიას საფუძვლად დაედო ქართველი და უცხოელი მეცნიერების 4-წლიანი სამეცნიერო მუშაობა. ასოციაციის „ქართული ღვინო“ ინიციატივითა და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, აღნიშნულ სამეცნიერო პროექტს 2014 წლიდან ღვინის ეროვნული სააგენტო ხელმძღვანელობს. საერთაშორისო მულტიდისციპლინურ პროექტში, ქართველ მეცნიერებთან ერთად, ჩართულები არიან პენსილვანიის, მონპელიეს, მილანის, კოპენჰაგენის, ტორონტოს უნივერ-



ლას ბლიდე – „ცეზარის“ პრემიის ლაურეატი; „Cine Master Class“-ის მონწეული სტუმარი ნოელ ბალანი – მწერალი, მუსიკოსი და სცენარისტი.

ფილმი „საქართველო ღვინის სამშობლო“ ეძღვნება იმ საერთაშორისო სამეცნიერო კვლევას, რომელმაც ისტორიული აღმოჩენა გააკეთა და მეცნიერულად დაასაბუთა, რომ სწორედ საქართველოა ღვინის სამშობლო და 8000 წლის წინათ სწორედ ჩვენს ქვეყანაში დაიწყო ღვინის პირველი წარმოება, რაც უწყვეტად გაგრძელდა თანამედროვეობამდე. ასევე, ფილმი ასახავს 2017 წელს ღვინის ცივილიზაციის ცენტრში, „Cite du Vin“, გამართულ ექსპოზიციას „საქართველო – მეღვინეობის აკვანი“, სადაც ჩვენი

სიტუციების, ისრაელის ვაისმანის ინსტიტუტისა და მონპელიეს აგრარული კვლევების ეროვნული ინსტიტუტის (INRA) თანამშრომლები.

სამეცნიერო-მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი გადაღებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების სააგენტოს „საქპატენტის“ მხარდაჭერით. ორმოცწუთიანი ფილმის რეჟისორია ალექსანდრე გაბუნია.

გადაღებები სხვადასხვა დროს საქართველოსა და აშშ-ში, ასევე იტალიასა და საფრანგეთში მიმდინარეობდა. ფილმი გადაღებულია სტუდია „სინემანი ფილმს“-ის ბაზაზე.

უსხოელი გაომსაქალაქი ხელნაწერთა პროექტულ სენტრში

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს სტუმრობდნენ უცხოელი გამომცემლები სხვადასხვა ქვეყნიდან (დიდი ბრიტანეთიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან, თურქეთიდან, ნორვეგიიდან, ბელგიიდან), რომლებიც წიგნის ფესტივალის ფარგლებში წიგნის სახლის მონვევით იმყოფებიან საქართველოში. სტუმრებმა დაათვალიერეს ცენ-

ტრის კოლექცია – ხელნაწერები და ძველნაბეჭდი წიგნები, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე. ამას გარდა, სტუმრები გულისყურით გაეცნენ ბოლო წლების გამოცემებს და ისაუბრეს შესაძლო თანამშრომლობაზე. მათ საჩუქრად გადაეცათ ცენტრის მიერ გამოცემული წიგნები ინგლისურ ენაზე.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ბ. ჩიქოვაძის (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სვარტაძე თეოდორე
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიანი 599 53-76-16;
ალექო ასლანი 599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაქიძე
514 33-33-24

გამომცემლობა:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთი“ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანამშრომელთა“ გაზეთი საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა „**კოლორ პრესი**“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22) ს-323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთილი მასალები დანიშნულია ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შეხატობა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აბეზან ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“
ზენი გაზეთია, აუსილავლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

სრ	უსხოური ვალუტის კურსი: აშშ დოლარი - 2.7500; ევრო - 3.0990; ბრიტანული გირანა სტერლინგი - 3.4966; 100 რუბლი - 4.2260; თურქული ლირა - 0.4611; ახარბაიჯანული მანათი - 1.6180; 1000 სომხური დრამი - 5.7256.	აქივდი 7 ივნისისთვის აღმოსავლეთი საქართველო: ბარს - ღამე +17, ღვინე +34 მთიანი რაიონები - ღამე +12, ღვინე +30 დასავლეთი საქართველო: ბარს - ღამე +16, ღვინე +31 მთიანი რაიონები - ღამე +13, ღვინე +29 თბილისი: ღამე +20, ღვინე +33	დაავიკაქათ, მოგვწერათ: ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge
-----------	--	---	---